შ.პ.ს. „სალის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი

ქ.თბილისი

19 თებერვალი 2014

სხდომას ესწრებოდნენ: შ.პ.ს. „სალის“(ს/კ 208183534) დამფუძნებელი პარტნიორები: დევი გაბუნია 51%–იანი წილის მფლობელი საწესდებო კაპიტალში, 36 % წილის მფლობელი თინათინ გაბუნია, 4% მირიან გაბუნია , 2% – მედეა სამსონიძე, 2% ზეინაბ ცინცაძე, 0,50% თამარ ერისთავი , 0,50% მარიამ გურგენიძე, წილის მფლობელნი.

კრებას ესწრებოდა პარტნიორთა ნახევარზე მეტი და შ.პ.ს. „სალის“ წესდების თანახმად კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება.

კრების თავმჯდომარე: დ.გაბუნია

დღის წესრიგი:

შ.პ.ს. „სალის“ საკუთრებაში მყოფი სასტუმრო „ძველი თბილისი“–ს შენობის ფასადი დღიდან დაარსების 2001 წლიდან არ განახლებულა და გარემოს ზემოქმედების გამო არის დაბინძურებული და შელახული.

1. იგი უნდა შეიღებოს თანამედროვე გერმანული მდგრადი საღებავით იმავე ფერში ან მერიის მიერ რეკომენდირებული ფერით.
2. შეიცვალოს სარეკლამო წარწერა სასტუმროს თავზე მერიის სამსახურთან შეთანხმებით.

მოისმინეს და დაადგინეს აზრი იმის თაობაზე, რომ ვინაიდან აღნიშნული სასტუმრო მდებარეობს კლდის ძგიდეზე, ქალაქის ისტორიულ ნაწილში და მის გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქალაქისათვის. ასევე არა ნაკლებ მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმოების თვალსაზრისითაც.

კრებამ დაადგინა:

მოწონებული იქნას შ.პ.ს. „სალის“ დირექტორის დ. გაბუნიას განცხადება და მიეცეს მას თანხმობა და აწარმოოს ქ.თბილისის მერიის სამსახურთან ყველა საკითხზე მოლაპარაკება . აღნიშნულ საკითხზე, აწარმოოს როგორც მოლაპარაკება ასევე უფლებამოსილია შ.პ.ს. „სალის“ და ჩვენი სახელით მოაწეროს ხელი არქიტექტურის სამსახურში ნებისმიერ საბუთს, რომელიც შეეხება შ.პ.ს. „სალის“ შენობის არქიტექტურულ თუ რეკლამებთან დაკავშირებულ საკითხებს.

დაევალოს შ.პ.ს. „სალის“ დირექტორს დ.გაბუნიას შეაგროვოს და შეიტანოს მერიის სამსახურში ყველა საჭირო საბუთი აღნიშნული ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „სალის“ დამფუძნებელი პარტნიორები: /დ.გაბუნია/

/მირიან გაბუნია/

/თინათინ გაბუნია/

/მედეა სამსონიძე/

/ზეინაბ ცინცაძე/

/თამარ ერისთავი/

/მარიამ გურგენიძე/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140161043
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.02.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით ოყროშიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322745001
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	10168885340814

მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 22/4, ვამოწმებ წინამდებარე კრების ოქმზე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების თამარ ერისთავის (დაბ. 19.09.1953წ. მისამართი: თბილისი, პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 32, პირადი #01026001506), მარიამ გურგენიძის (დაბ. 19.05.1989წ. მისამართი: თბილისი, ო.თაქთაქიშვილის ქ. N 3/43, პირადი #01008022769), მედეა სამსონიძის (დაბ. 08.03.1947წ. მისამართი: თბილისი, ო.თაქთაქიშვილის ქ. N 3/43 ბ.19, პირადი #01008017819), ზეინაბ ცინცაძის (დაბ. 29.05.1957წ. მისამართი: თბილისი, ა.რაზმაძის ქ. N 33, პირადი #01005002058), მირიან გაბუნიას (დაბ. 02.11.1969წ. ფაქტობრივად მცხოვრები: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 27, პირადი #01008001652, პასპორტის #09AP29741), თინათინ გაბუნიას (დაბ. 22.10.1945წ. მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. N 40 ბ. 8, პირადი #01024012759) და დევი გაბუნიას (დაბ. 24.01.1942წ. მისამართი: თბილისი ა.რაზმაძის ქ. N 33, პირადი #01005000380) ხელმოწერების ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ხელმომწერთა მიერ პირადად, მას შემდეგ რაც მათ განემარტათ ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 14 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 2,52 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 2 (ორი) ლარი – ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18